ხელშეკრულება N 19

ქ. ბათუმი

"05" ოქტომბერი 2016 წ

ერთის მხრივ შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება" (ს/კ 246952524) შემდგომში წოდებული „აბონენტად" წარმოდგენილი დირექტორის ჯუმბერ ჭყონიას სახით (პ.ნ. 61004020284) და მეორეს მხრივ შპს „ა-ნეტი" (ს/კ 404893978) შემდგომში „კომპანია" მიმწოდებელი წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის გია დუმბაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აბონენტისათვის **2 მგბ/წმ-მდე** სიჩქარით ინტერნეტ ტრაფიკის მიწოდება საქართველო, ქობულეთი, პოპოვის ქ. N7-ში G-PON-ის ტექნოლოგიით შემდგომში მომსახურება.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებისათვის აბონენტი კომპანიას გადაუხდის **50** ლარს ყოველთვიურად წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი პირობის შესაბამისად.

1.3 ინსტალაციის ერთჯერადი გადასახადი **1500 ლარი**

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 კომპანია ვალდებულია:

2.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის მოაწყოს საკომუნიკაციო ქსელი და უზრუნველყოს მასზე კლიენტის მიერთება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამასთან გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით კომპანია პასუხს აგებს ქსელის გამართულ მუშაობაზე მიმწოდებლის მხარეს დემარკაციის წერტილამდე.

2.1.2 საჭიროების შემთხვევაში დროებით სარგებლობაში (ხელშეკრულების მოქმედების ვადით) გადასცეს აბონენტს მომსახურების მისაღებად საჭირო დამაბოლოვებელი მოწყობილობა.

2.1.3 მიაწოდოს აბონენტს ინტერნეტ ტრაფიკი დადგმის საფასურის გადახდიდან არაუგვიანეს **48** საათის განმავლობაში.

2.1.4 კომპანია ვალდებულია შემოსული დაზიანება აღმოფხვრას „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში და წესის შესაბამისად.

2.2 კომპანია უფლებამოსილია შეზღუდოს აბონენტის ქსელში მუშაობა თუ იგი:

- არაკანონიერი გზით ცდილობს მიიღოს ხელშეკრულებით გათალისწინებულზე მეტი ტრაფიკი.
- არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მათ შორის დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს.
- აბონენტი ცდილობს გმოიყენოს ან იყენებს სატელეკომუნიკაციო საშუალებებს არაკანონიერი მიზნებისთვის ან არაკანონიერი გზით ცდილობს მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილზე მეტი მომსახურება.

2.3 კომპანია უფლებამოსილია მოსთხოვოს აბონენტს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

2.4 კომპანია პასუხს არ აგებს იმ ზარალისთვის, რომელიც აბონენტს შესაძლოა მიადგეს აბონენტის სისტემაში მესამე პირის შეღწევის შედეგად.

2.5 კომპანია პასუხს არ აგებს აბონენტის ისეთ ქმედებაზე, რომელიც კანონსაწინააღმდეგოა და არღვევს სხვა აბონენტის (აბონენტთა) ინტერესებს, ასევე მოქმედი სამართლის ნორმებს.

2.6 აბონენტი ვალდებულია:

2.6.1 დამოუკიდებლად უზრუნვლყოს დემარკაციის წერტილიდან თავისი ქსელის გამართული მუშაობა ან/და მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებით შესაძლებელია კომპანიამ განახორციელოს აბონენტისათვის ქსელის მოწყობა. ამასთან კომპანია არ არის პასუხისმგებელი მესამე პირთა მიერ აბონენტისათვის მოწყობილი ქსელის გამართულ მუშაობაზე.

2.6.2 გამართულ მდგომარეობაში იქონიოს მასზე წინამდებარე ხელშეკრულებით გადაცემული დამაბოლოვებელი მოწყობილობები და პასუხს აგებს მის დაზიანებაზე (მხედველობაში არ მიიღება ბუნებრივი ცვეთა) აბონენტი ეთანხმება ამ პუნქტით განსაზღვრულ პირობ(ებ)ას, რომ დამაბოლოვებელი მოწყობილობის დაკარგვის ან დაზიანების (მ.შ. ფიზიკური, ტექნიკური და ელ. ენერგიის (ძაბის ცვლილება/ვარდნის) შემთხვევაში აანაზღაურებს მათ საბალანსო ღირებულებას.

2.6.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი კომპანიას უბრუნებს დამაბოლოვებელ მოწყობილობებს გამართულ მდგომარეობაში.

2.6.4 წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი კომპანიას გადაუხდის ერთჯერადად სამი თვის მომსახურების საფასურს პირსაგამტეხლოს სახით.ხელშკრულებით დადგენილ ვადაში.

2.7 აბონენტი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მიწოდებული მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულისა

3. ფასები და ანგარიშსწორების წესი

3.1 ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგაროშსწორების გზით.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე წარუდგინოს აბონენტს გასული საანგარიშო თვი მომსახურების გაწევისათვის შესაბამისი ანგარიშფაქტურა.

3.3 ხოლო აბონენტი თავის მხრივ მომსახურების საფასურს იხდის შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის მიღებიდან არაუმეტეს მომდევნო ხუთი საბანკო დღის განმავლობაში.

3.4 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სარემონტო ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობისას კომპანია ვალდებულია წინასწარ აცნობოს მომხმარებლს სამუშაობის წარმოების დაწყების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით თუ მომსახურების მიწოდება, შეჩერდა 12 საათზე მეტი ხნით, მიმწოდებელი განახორციელებს მიმდინარე თვის მომსახურების საფასურის გადაანგარიშებას.

3.5 მომსახურების საფასურის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მომხმარებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 0.02%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან აღნიშნულ მუხლში განსაზღვრული პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მომსახურების მიმწოდებლის უფლებას და არა ვალდებულებას.

3.6 მხარეები თანხმდებიან რომ ყოველთვიური გადასახდელის ერთი თვის გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტი გარანტიის სახით კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხვს ერთი თვის გადასახდელ თანხას, რომელიც ჩაეთვლება მე-12 თვის გადასახდელში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა.

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოწმედებს ერთი წლის ვადით.

4.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ერთი წლით, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.3 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი საბანკო დღის ვადაში, მხარეები ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

4.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მომსახურება შეწყვიტოს მომსახურების საფასურის 90 დღით გადაუხდელობის შემთხვევაში.

5.ფორს - მაჟორი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება ნაკისრი პასუხისმგებლობის შესრულებისაგან თუ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი გახდა ფორს - მაჟორული გარემოება, რომელიც წარმოიშვა მხარეთაგან დამოუკიდებლად და რომლის წარმოშობის შესახებ მხარეებს ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ შეიძლებოდა სცოდნოდათ.

ფორს - მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებ(ებ)ით:

-სტიქიური უბედურებები.

-ბლოკადა ან ნებისმიერი სახის ეკონომიკური ემბარგო.

-საომარი მოქმედებები

-მესამე პირის ან პირთა ბრალეული ქმედება, რომლებიც შეუძლებელს ხდის ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

- მოქმედი კანონმდებლობის იმგვარი ცვლილება, რომლის გამოც შეუძლებელი ხდება მხარეთათვის მომსახურების მიწოდება

5.2 ფორს - მაჟორის დადგომისთანავე მხარეებმა გონივრულ ვადაში უნდა აცნობონ ერთმანეთს აღნიშნულის შესახებ მათ ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და სხვა)

5.3 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას..

5.4 ფორს - მაჟორული გარემოებების არსებობისას ვალდებულებების შესრულების პერიოდი ჩერდება იმ დროით, რა დროითაც გაგრძელდა ფორს - მაჟორული გარემოება.

6. სხვა პირობები

6.1 ყველა არსებული და შესაძლო დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება ერთიან მთლიანობაში წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად.

6.2 ხელშეკრულების რომელიმე დებულების ცვლილება ან/და გაუქმება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების გაუქმებას.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ, თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან თითოსთან-თითო.

6.4 კომპანია უფლებამოსილია შეცვალოს მომსახურების ტარიფი რის თაობაზეც იგი ვალდებულია არანაკლებ თხუთმეტი დღით ადრე აცნობოს აბონენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დავის გადაწყვეტა

ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან, გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. სტანხმების მიუღწევლობის შმთხვევაში მხარეები უფლებამოსილები არიან მიმართონ სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

8. მხარეთა რეკვიზიტები:

კომპანია	აბონენტი
შპს "ა-ნეტი" ს/კ 404893978 მის: ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქ.N50.	შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება" საიდენტიფიკაციო კოდი: 246952524 მის: საქართველო, ქობულეთის რაიონი, პოპოვის ქ., N7
----------	----------
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი" ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE 22 ა/ა GE 18TB7359536020100002	საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი---------- ბანკის კოდი BAGAGE22---------- ა/ა ----------
ცხელი ხაზი: (0422) 21- 00-00	საკონტაქტო ტელეფონი: 577 588 581